ეთიკის კომისიის
ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.04.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/13

შეკითხვა:

შეთანხმებულია საადვოკატო საქმიანობის საზღაურის სრული ოდენობა და გადახდის განაწილვადების წესი - თანხის ნაწილს კლიენტი გადაიხდის სასამართლო საქმის დასრულებამდე, დარჩენილ ნაწილს კი საქმის დასრულების შემდეგ. კლიენტი არ იხდის შეთანხმებულ საზღაურს, ვინაიდან დასრულდა სასამართლო საქმის განხილვა. აქვს თუ არა ადვოკატს უფლება მოითხოვოს წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურება?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადვოკატმა წინასწარ უნდა აცნობოს კლიენტს ანაზღაურების განაკვეთი და გამოთვლის წესი. ჰონორარი მხოლოდ მაშინ იქნება განსაზღვრული და შეთანხმებული მხარეებს შორის, როდესაც ნორმის შესაბამისად წინასწარაა დადგენილი გამოთვლის წესი და ის მისაღებია კლიენტისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული თანხის გადახდის განსხვავებული წესი - თანხის გადახდა განაწილვადებით, ანაზღაურების საერთო თანხა წინასწარ ცნობილი და მისაღები იყო კლიენტისათვის. შესაბამისად, ადვოკატს აქვს უფლება მოითხოვოს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების გადახდა.

დასკვნა:

თუ შეთანხმებულია საადვოკატო საქმიანობის საზღაურის სრული ოდენობა და გადახდის განაწილვადების წესი - თანხის ნაწილის გადახდა სასამართლო საქმის დასრულებამდე,

ნაწილის კი საქმის დასრულების შემდეგ და კლიენტი არ იხდის შეთანხმებულ საზღაურს, ვინაიდან დასრულდა სასამართლო საქმის განხილვა. ადვოკატს უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურება.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.